საქართველოს კანონი

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 42) 44^1 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოსახლეობა და ორგანიზაციები ვალდებული არიან, მოქმედი წესის დაცვით თავად შეარჩიონ ოპერატორი იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს აცხადებენ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქ. თბილისის მთავრობის მიერ ორგანიზებული მომსახურების მიღებაზე. აღნიშნული პირები თავისუფლდებიან დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან და მომსახურების საფასურს იხდიან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურებისთვის ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

ქუთაისი,

22 მარტი 2013 წ.

N379-IIს